

# ებრეული

ეკონომიკი  
სიგვარული



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული ოცისი  
დაჭიდვის ცხოვართათვის. იან. 10—11.

ვპვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული.  
კათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და  
მე განვისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 18

1883—1897

30 სექტემბერი

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვეით . . . 3 მა. 12 თვეით . . . 5 მა.	
6 — . . . 2 — 6 — . . . 3 —	

ფულისა და წერილების გაგადვნა შეიძლება ამ აღრესით:

ვ. კერია, ა. მარკუსი, „Makemsi“ უ. „Hastvabri“.

შეელა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელიც  
იქნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილი, ვრცლად და გასაგე-  
ბად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვეის განმავ-  
ლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიღებიან რუსულს ენაზე დაწერილიც და  
თარგმნით დაიბეჭდებიან.

როგორი უნდა იქნას მფედლის მინაური  
ცხოვრება?

ცხოვლის უყვარული: თვისისა სახლისა კეთილად  
განმეობელ, შვილნიცა უსხენ დამორჩილებულნი  
ყოველითა ღირსებითა; ხოლო უკეთუ ვინმე თვისი-  
სა სახლისა განვება არა იცის, ვითარმე ეპკლესიათა  
ღმრთისათა მოღვაწება აგოს?“ (ა ტიმ. III, 2—5).  
ამ საღმრთო წერილის სიტყვებიდან, რომლებიც წმ.  
მოციქულის პავლეს მოძღვრული ეპისტოლებან არის  
ამოღებული, ჩანს, თუ რა დამოკიდებულება უნდა  
ჰქონდეს ეპკლესის მწყემს თავის აჯახობასთან, და  
ამიტომ უსარგებლო არ იქნება, რომ დაწვლილებით  
განვიხილოთ ეს მოციქულის საყურადღებო და-  
რიგება.

„ჯერ-არს ეპისკოპოსისა“), რათა უბრალო იყოს,  
ერთი ცოლის ქმარი, ფრთხილ, წმიდა, შემცულ, სტუ-  
მართ-მოყვარე, სწავლულ. არა მეღვინე, არა ანგარ,  
არა საძაგელის შემძინელ, არამედ მუუდრო, უღალველ,

\*) სიტყვა: ეპისკოპოსი აღნიშნულ ადგილს ნახმარი  
სახოვადო—ნიშნავს ეპისკოპოსაც და მღვდელსაც.

„ჯერ-არს ერთი ცოლისა ქმარი“. მწყემსის ცოლს მისი მეუღლის სამსახურში დიდი მნიშვნელობა აქვს. ქალს შეუძლია ხელი მოუწყოს ქმარს მისი მოვალეობის აღსრულების დროს შესახებ ეკალესისა, ან დაბრკოლოს იგი, თუ ქალი ქმართან ერთად არ მოქმედებს, მაშინ აღბად მის წინააღმდეგ იქცევა და ამით იგი საქმეზე მოაცდენს მღვდელს. ქალი არის ქმრის კეთილი, ანუ ბოროტი მრჩეველი, იგი მუდამ ქმართან არის მისი სისუსტის და მოწყვილობის დროს და თავისი ზედ გავლენით ან ამხნევებს, და ან ასუსტებს ქმრის სულიერ ძალას: ვინ არ უწყის, თუ რა გავლენა აქვს ქალს ცხოვრების სხვა-და-სხვა დროს. სინამდვილით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალი აძლევს ყოველ ხალხს ასეთ თუ ისეთ ზნეობრივ დაწყობილობას, რომელიც გამოჩდება მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისტორიაში ჩვენ ვხედავთ მრავალ მაგალითებს, რომ სუსტმა კაცებმა გამოიჩინეს შესანიშნავი მამაკაცია და სახელდომ იმიტომ, რომ მათ უკან უდგნენ ცოლები, რომელნიც ამხნევებდენ ქმრებს არა მარტო რჩევით, არამედ აღვიძებდენ და ამტკიცებდენ მათში მოვალეობის საზოგადო გრძნობას და მასთან შესაფერ მიმართულებას აძლევდენ იმათ თავმოყვარეობას. მაგრამ უფრო ხშირად კი, უნდა გამოვტყდეთ, ვნიშნავთ ქალების ცუდ შინაურ ზედგავლენას, რომელიც კაცს ბუნებითად კეთილშობილს, პატიოსანს და უანგაროს თან-და-თან ხდის სულ მოკლედ, ვუგვანოდ, მუდამ აქეთიქით მოხეტი-ალე კაცად, რომელიც საზოგადო მოღვაწეობაში ხედავს მხოლოდ საშუალებას, რომ თავისი საკუთარი მდგომარეობა გაიუმჯობესოს, და ყოველივე ეს ხშირად იქიდან წარმოდგება, რომ ამ გვარ კაცს და-მოკიდებულება აქვს ქალთან, რომელიც თუმცა ჯეროვანად აღზრდილია, სარწმუნო ცოლია, შევნიერი დედაა, მაგრამ მის სულში სრულებით არ მოიპოვება უდიდესი იდეია საზოგადოებრივი მოვალეობისა. მწყემსიც კი თავისუფალი არ არის მსგავსი ზედგავლენისაგან.

თუ ჰეშმარიტად ქრისტიანე მეუღლე თანაუგრძნობს ქმარს მის საქმეში, ეს უფრო ღირსია ყურადღებისა, ვინემ უბრალო მეგობრობა. ეს არის სიყვარულობითი შევლა გულისა, რომელიც სინამდვილით ასრულებს ღვთაებრივი მასწავლებლის მცნებას, კაცთა უბერურობის და განსაცდელის დროს, როცა კაცთა უბერურობის და განსაცდელის დროს, როცა ზნეობითად ძლიერი კაციც ეცემა სულით და ამ

დროს მის მახლობლად არ არის სხვა ქვეყნიური მეგობარი, რომელსაც შეატყობინოს თავისი სისუსტე და მწუხარება. გარდა ამისა, ეპკლესიურ ცხოვრებაში არის ისეთი შემთხვევაც, სადაც ქალის სამსახური აუცილებლად საჭიროა და ამ სამსახურის ქაწევა სხვას არც კი შეუძლია, სახელმობრ-სარწმუნოებრივი რჩევა-დარიგებანი, როცა ეს რჩევები მიმართულია ქალთადმი. ქალი უფრო აღვილად გაუტყდება თავის გულის პასუხს ქალსავე. და ზოგიერთი მღვდლის ცოლები იყვნენ დედათ დიაკვნებად და ასწავლიდენ ქრისტეს მცნებას ქალთა.

ჰეშმარიტად ქრისტიანე ცოლი დაეხმარება ქმარს სწავლა-ქადაგების საქმეშიც, როგორც მცოდნე დედათ სკესის ბუნებისა, ცხოვრების მაგალითით და თავისი პრაქტიკული ცოდნით, რომელსაც ის იძენს ხალხთან ცხოვრების დროს, ხშირად ქალი უფრო მაღა შეიტყობს კაცის ხასიათს და მიმართულებას, ვინემ კაცი. მაგრამ უმთავრესი მოვალეობანი მღვდლის ცოლისა უეჭველად შეეხებიან მის საკუთარს ოჯახს და არა მისი ქმრის სამრევლოს.

„თვისისა სახლისა კეთილად გამგებელ“. თითოეულ სახლს, აგრეთვე თითოეულ სამართველოს აქვს თავისი წეს-რიგი, რომელიც სახლს ანუ სამართველოს აძლევს ჯეროვან მიმართულებას. მღვდლელი უნდა ცდილობდეს, რომ მისი ოჯახი ისე მოაწყოს, რომ იგი ეთანხმებოდეს მისი სამსახურის დიდ მიზანს. ოჯახი არის პატარა სამრევლო, რომელშიაც პირველად უნდა გამოცალოს მღვდლელმა მწყესებრივი ერთგულება, კეთილ ცხოვრება და სიბრძნე. მწყემსი უნდა ცდილობდეს, რომ თავისი ოჯახი შეათანხმოს თავის საქმეს და არ გააშოროს ისინი ერთმანეთს; ოჯახი იმიტომ აქვს მას მიცემული, რომ იგი შეეწიოს მწყემს მისი სამსახურის აღსრულების დროს, ოჯახმა კეთილი ზედგავლენა უნდა იქნიოს სამრევლოზე. მღვდლის სახლი უნდა ემსახურებოდეს სარწმუნოების და კეთილ-ზნეობის გაფრცელების საქმეს სამრევლოში.

მღვდლი უნდა მართავდეს თავის ოჯახს არა მარტო თავისი შეურყეველი ავტორიტეტის უფლების ძალით (თუმცა მას კიდეც გაუთვის ის ასეთში უცილობელი ავტორიტეტი, როგორც ოჯახის უფლებითი მემკვიდრეობის დამყარებული უნდა იქმნეს შეურყეველ ზნეობრივ საფუძველზე, საფუძველზე ჰეშმარიტისა, სიმართლისა და სიყვარულისა. ახალ ჰეშმარიტისა, სიმართლისა და სიყვარულისა.

აღთქმაში ხშირად არის ლაპარაკი შინაურ ეკკლესიაზე (რომაელ. XVI, 4; 1 კორინთ. XVI, 19) და თითოეული მღვდლის ოჯახი უნდა წარმოადგენდეს პატარა ეკკლესიას, სადაც სუფექს ქრისტეს სული, სადაც მთავრობს კანონიერი წესიერება ყოველ დღიურ ცხოვრებაში, წესიერება, რომელიც გამსჭვალულია სარწმუნოებით. ოჯახური კეთილ ცხოვრება უნდა ეთანხმებოდეს ოჯახის სარწმუნოებრივ ცხოვრებას, ეს კეთილი ცხოვრება უნდა იყოს გამომატევლი აჯახის სულიერი ცხოვრებისა, სადაც (ოჯახში) არსებობს გულ წრფელობა, მხნეობა, მორჩილობა და სიყვარული. ეკკლესის მოსამსახურენი ხან-დის-ხან ძლიერ სუსტად და დაუდევრად ეკიდებიან თავის აჯახის მმართვა-გამგების საქმეს, და თავს იმითი იმართლებენ, რომ ბევრი საზოგადო საქმე გვაქვს გასაკეთებელით; მაგრამ არავის არა აქვს უფლება დაუტევოს თავი თვისი და თავისი საქმეები სხვის გულისათვის თუ არ უნდა მიეცეს მოციქულის სასტიკ განკუცხას. ჩვენს დღოსაც ბევრი იყვნენ ძველი აღთქმის ილიას მსგავსი მწყემსნი, რომელიც, თუმცა ერთგულად ემსახურებოდენ ეკკლესიას, მაგრამ მათი შვილები მაინც ვერ გადარჩენ დალუპვას.

«წმიდა, სტუმართ მოყვარე». კეშმარიტი მწყემსის სახლი ყველა კვეყნებში და ყოველ დროს ლია იყო სტუმართათვის. იგი იყო მაგალითი, რომელსაც ჰბაძავდა სამრევლო ზოგიერთ შემთხვევებში. იგი იყო თავშესაფარი დარიბისათვის. რომ ასეთივე მნიშვნელობა ექნეს მღვდლის სახლს და მომეტებული ზედგავლენა იქნიოს მრევლზე, მღვდლის ოჯახი უნდა იქნეს მიმზიდველი თავისი უბრალო, მაგრამ წმიდა მორთულობით.

შეუცვლელი წესი, კანონიერება და სისწორე ყოველ დღიურ მოქმედების დროს ალამალლებს მღვდლის ზედგავლენას, რაღაც ასეთი მისი მოქმედება ცხადად მოწმობს მას, რასაც ეკკლესიის კათედრიდან უქადაგებს იგი მრევლს. უპარველს მღვდელი არ უნდა ჩავარდეს ვალებში. იმას შეუძლია ვალები არ აიღოს, თუ თავისუფალ დროს მოახმარს რამე პატიოსან და სასარგებლო საქმეს, რომელიც მისცემს მას ნივთიერ შემწეობას. როდესაც ვინმე ვარდება დიდ ვალებში, ის უბრალოდ ხარჯავს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. გაშინ მას აღარ შეუძლია აღარც თავისი მსჯელობის და სურვილის

გაბედულად გამოთქმა და არც თავისი სიტყვისა მებრ მოქმედე, იმიტომ რომ ის დამოუკიდებულია მეორე კაცზე და არას დროს არ შეუძლია თავი განთავისუფლოს ამ დამოკიდებულობისაგან.

მღვდლის გულ-მოდგინებას და სისწორეს საეკლესიო საქმეებში, დიდი ზედგავლენა აქვს სამწყსოზე, განსაკუთრებით მრეწველ და ვაჭარ ხალხზე, რომელიც პატივისცემით ეკიდება იმ კაცს, რომელიც სისწორით ასრულებს თავის საქმეს და მუდამ მოქმედებს. ასეთ თვისებათ ესენი უფრო ადვილად იგებენ და აფასებენ. მღვდელი უნდა მოერიდოს ყოველივე შეცდომას საეკლესიო მეურნეობის საქმეში. მუყიათობით და სინამდვილით ღვთის მსახურების აღსრულებას, გარდა ამისა თუ მღვდელი ბეჯითად იცავს ეკკლესიის ინტერესს და სარგებლობას, სადაც ჯერ არის, განსაკუთრებით როცა ფულის აღებაზე ან გადახდევინებაზეა საქმე, ყოველივე ამას დიდი ა ზედგავლენა აქვს სამრევლოზე, ვინაიდგან ყოველივე ამაებისაგან ცხადათ ჩანს მაღალი ხასიათი და ზეობრივი მხარე, რომელიც საუკეთესოდ ამტკიცებს და ნერგავს მორწმუნეთა გონებაში სწავლას ზეობაზე, პატიოსნებაზე და სიმართლეზე. თუ მღვდელი ცდება ამაების შესახებ, მაშინ ხალხი ადვილად იფიქრებს, რომ ღვთელს შეუძლია ასეთივე შეცდომა ჩაიდინოს უფრო დიდ საგნების შესახებაცო. ჩვენ ვუჩვენეთ ეს თვისებანი, რომელნიც ითხოვებიან მღვდლისაგან, როგორც კაცის თვისებათა გამომხატველნი; თუ მღვდელი თავის შინაურ ცხოვრებაში და კერძო საქმეებში სინამდვილით და სისწორით ასრულებს საქმეს, ეკკლესიურ საქმეებშიც, ისეთი იქნება იგი.

ჩვენ მიერ განხილულ კითხვაში-რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მღვდელს თავის სამწყსოსთან, არის ერთი განსაკუთრებითი საყურადღებო საგანი, ეს საგანი არის მღვდლის პასუხის გება მისი ოჯახის სულიერი მდგრმარებისათვის. საკვირველია, რომ ჩვენ უფრო წარმატებით ვავრცელებთ ქრისტიანობრივ ცხოვრების სწავლას საზოგადოებაში და გარეშე პირთა წინაშე, ვინემ ჩვენ საკუთარს სახლში და იმათში, რომელნიც ჩვენ ყველაზე მომეტებულად გვიყვარს. რატომ არის ეს? მღვდელმა, რასაკვირველია, არ უნდა შეინახოს თავისი სარწმუნოებრივი სიკეთე მარტო საზოგადოებისათვის და მთაკლოს იგი თავის საკუთარ სახლობას. არაფის არ შეუძლია

კათელრაზე წმიდა იყოს, ხოლო თავმოყვარე, ფიც-  
ხელი და ზანტი კერძო ცხოვრებაში. ყოველ შემთხვე-  
ვაში უნდა ვეცადოთ, რომ მოვსპოთ ჩვენში ლტოლ-  
ვილება, ვეჩვენოთ კეთილი და წმინდა მხოლოდ სა-  
ზოგადოებას, და არა სახლში და ისიც მუდამ. მღვ-  
დელი ხშირად დარწმუნებულია (განსაკუთრებით  
თავის სამრევლოს გარეშე წარმოთქმულ ქადაგებაზე),  
რომ მან გამონახა ყოველივე საშუალება, რომელიც  
კი მის ხელთ იყვნენ, ყოველივე ღონე, რომ ხალხი  
მიიყვანს ზეციური სასუფევლისადმი, ხალხი, რო-  
მელსაც, შეიძლება, შემდეგ ვერას დროს ვერ შეხვ-  
დეს ამ ქვეყანაზე; რაც მოიქმედა მან სხვებისათვის,  
ერთი თად მეტი უნდა მოიქმედოს, რომ აცხოვნოს  
სული თავისი ოჯახის თითოეული წევრისა.

მღვდლის ოჯახზე განსაკუთრებული ყურადღე-  
ბაა მიქცეული საზოგადოების მიერ, და როცა მღვ-  
დელს რაიმე ცუდი ხმები ესმის მის ოჯახზე, ყოვე-  
ლივე ეს მან უნდა იტანოს მოთმინებით და არას  
დროს გული არ უნდა მოუვიდეს.

როცა მღვდელი დამოუკიდებელია თავის ში-  
ნაურ საქმეებში, მან სრულებითაც არ უნდა დაი-  
ვიწყოს, რომ მის ოჯახს ისე უყურებენ, როგორც  
სამაგალითოს. ამის გამო მღვდელი უნდა იყოს თა-  
ვის ოჯახში უბრალო და კეთილ გონიერი, უნდა  
ერიდოს საზომის გარდასყლას, მოერიდოს სიფიცხეს,  
ჯავრს და სხვა ამაების მსგავსთ და მასთან იხელ-  
მდღანელოს ნაჩვენები ფაქტით, რომ ამით კეთილი  
ზედგავლენა იქონიოს საზოგადოებაზე და თავის სამ-  
რევლოში წინ წასწიოს განათლება, გაავრცელოს  
კეთილი ჩვეულებანი, მიღრეკილებანი და გრძნობანი  
განსაკუთრებით მოყვასთადმი სიყვარული. მღვდლის  
ოჯახში უნდა იყოს ნამდგილი სარწმუნოება და არა  
მარტო გარეგან შესახედავად. ოჯახის ყველა წევრთა  
უმთავრეს საგანს უნდა შეაღენდეს სარწმუნოება  
სარწმუნოებამ უნდა მოალბოს და გააკეთილ შობი  
ლოს გრძნობანი, იღამაღლოს ოჯახი ზნეობითად  
მის წევრებში აღზარდოს თავისუფლობა და იღავსოს  
მღვდლის სახლი წმიდა ჰაერით და უანგარო სიყვა-  
რულით.

## სიუკეთება, გამოცემისა

თქმული უწ. სინოდის ობერ-პროკურორის ამბანაგის უ. ვ.  
კ. საბლერის მიერ ორ-კლასიანი სამრევლო სკოლების მას-  
წავლებელ ქალთა და კაცთა საზაფხულო პედაგოგიური კურ-  
სების დახურვის დროს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში.

პატივცემულნო მსმენელნო! ამ ექვსი კვირის  
შინათ, ვიღრემდის თქვენ შეცადინობას დაიწყებდით,  
ჩვენ თქვენთან ერთად შევიკრიბენით პეტერბურგის  
სასულიერო აკადემიის ამ დარბაზში, დღესაც აქვე  
მოვიყარეთ თავი, რომ გამოთხოვების დროსაც გესა-  
უბრით. ექვსი კვირის განმავლობაში, თითქმის,  
ყოველ დღე შრომობდით. ყველანი, რომელთაც  
რაიმე დამოუკიდებულება კი აქვთ პედაგოგიურ კურ-  
სებთან, ერთ ხმად მოწმობენ, რომ თქვენ დიდის  
სიყვარულობით მუშაობდით, დაღალულობა გავიწყ-  
დებოდათ და ყოველი შემთხვევით სარგებლობდით,  
რომ შეგეძინათ სასარგებლო ცოდნა. თქვენ უკვე  
დაგავიწყდათ ის მწუხარება, რომელიც ვამოსცადეთ  
ზამთრის თვეებში და ის შეწუხება, რომელიც თქვენ  
გამოცადეთ შორეულ გზებზე მოგზაურობის დროს,  
თქვენ გამხნევებდათ მხოლოდ ერთად ერთი სურვი-  
ლი—რაც შეიძლება მომეტებულად ბევრი სასარგებ-  
ლო ცოდნა შეგეძინათ ყველა იმ საგნების შესახებ,  
რომელთა თქვენ ასწავლით სკოლაში. ასეთივე მუ-  
კიათობა გამოიჩინეს მასწავლებელ ქალთა და კაცთა  
მოსკოვში, ყაზანში, პერმში, კურსკში, ხარკოვში,  
კიევში და ოდესაში. ყველა ამ ქალაქებიდამ მოდი-  
ოდა სასიამოენო ამბები კურსებზე შეკრებილ პირთა  
ერთგულ და მუყიათ მუშაობის შესახებ. ზაფხულის  
ცხელ დღეში მასწავლებელი ისმენდენ ხუთ და ხან  
ექს ლექციას, ნასაღილებს გალობრდენ და საღამო-  
ობით მეცადინობდენ. აი ასე ატარებდენ იმ დროს,  
რომელიც საზოგადოდ დანიშნულია მოსასვენებლად,  
ორ-კლასიანი სამრევლო სკოლების მასწავლებელნი  
კაცნი და ქალნი, რომელიც მთელი რუსეთის სხვა-  
და-სხვა კუთხეებიდან არიან მოსულნი. ჩვენ ყველა-  
სათვის, რომელიც სიყვარულობით თვალს ვადევნებთ  
ამ საზაფხულო კურსებს, განსაკუთრებით ისაა სასი-  
ამოენო, რომ ამ კურსების დროს ყველგან საქმე  
წარმოებდა მშეიდობიანად. პირნი, რომელიც გრა-  
გებდენ კურსების საქმეს, მაღლობას სწირვენ მასწავ-



ლებელ კაცთა და ქალთა, რომელნიც ძლიერ წე-  
სიერად იქცევულნენ საერთო მეცადინეობის დროს  
კურსებზე. ყველა მასწავლებლების ასე ერთსულობით  
და ერთგულობით საქმის მოპყრობა ამტკიცებს, რომ  
მათ რიგიანად შეგნებული აქვთ მასწავლებლობის  
მაღალი მნიშვნელობა.

გამოთხვების დროსაც მინდა გესაუბროთ მას-  
ზე, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია-საეკ-  
კლესიო სამრევლო სკოლაზე. ეს სკოლა, აძლევს  
მოწაფეთ დასაწყის სწავლას, და ამავე დროს ზრდის  
მათ თანახმად მართლ-მადიდებელი ეკულესის სწავ-  
ლისა. ეს სკოლა არ კმარიბს, რომ მარტო წერა-  
კითხვა შეასწავლოს მოწაფეს, იგი ამავე დროს ცდი-  
ლობს აღზარდოს მოსწავლე სულიერად, რომ იგი  
იქნეს კეთილი ქრისტიანე. საეკკლესიო სკოლა,  
დროისა და ადგილის მიხედვით, აძლევს მოსწავლეს  
ბევრ სხვა-და-სხვა ცოდნას, მაგრამ იმ პირობით,  
რომ ამ სხვა-და-სხვა საგნების მეცადინეობამ არ შე-  
აფერხოს ნამდვილი დანიშნულება საეკკლესიო სკო-  
ლისა. ამ სხვა-და-სხვა იდეების უცვალებლობას  
განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს დასაწყისი სკო-  
ლისათვის. შეურყეველია კეშმარიტებანი ქრისტია-  
ნობრივი ზნეობისა, და სამრევლო სკოლა როგორც  
ეხლა ისე შემდეგში მუდამ იხელმძღვანელებს სახა-  
რების სწავლით, რომელიც არის ერთად-ერთი წყა-  
რო კეშმარიტებისა და ყოველივე სიმართლისა. სა-  
ეკკლესიო შკოლამ უნდა მოჰყინოს ხალხში განათ-  
ლება. ამ სკოლამ ყოველი მოსწავლის გულსა და  
გონებაში უნდა დანერგოს ქრისტიანული სწავლა-  
მოძღვრება. ასეთმა სკოლამ არ შეიძლება, რომ ხალ-  
ხში არ აღამაღლოს და განამტკიცოს დაცემული  
ზნეობა. თუ კი ჯეროვანად შევიგნებთ ჩვენი საეკ-  
კლესიო-სამრევლო სკოლის მნიშვნელობას, ჩვენ  
ბედნიერნი ვიქნებით მით, რომ შეძლება გვეჩება  
ვიზრუნოთ ამ სკოლისათვის და შევიყვაროთ იგი.  
და ამ როგორ არ უნდა შევიყვაროთ ისეთი სკოლა,  
რომელმაც უნდა მოჰყინოს ნათელი კაცობრიობას?  
თუ ამ სკოლას შევიყვარებთ, მაშინ იმედი უნდა  
ვიქნიოთ მისი წარმატებისა. ამ რწმენის უნდა გა-  
გამხნეოსთ თქვენ იმ დროს, როცა მძიმე შრომისაგან  
დაიღლებით და ან რაიმე შეწუხება შეგემთხვევათ.  
იმედი იქონიეთ, რომ საეკკლესიო სკოლის ყველა  
იდეები განხორციელდებიან. ეს ცამეტი წელიწადია,  
რაც საეკკლესიო სკოლა, რომელიც არსებობს რუ-

სეთში დღიდგან ქრისტიანობის შემოუებრსა ხეობრ-  
ანად მოეწყო. უწმიდეს სინოდს პირველად ყველა  
საეკკლესიო სკოლების საჭიროების დასაკმაყოფი-  
ლებლად პეტრი მხოლოდ 55,000 მანეთი. დღეს კი,  
როცა ამ ცამეტმა წელიწადმა განვლო, სახელმწიფო  
ხაზინიდან იხარჯება საეკკლესიო სკოლებზე 4,954,841  
მ, და საერობო ფულებიდან გუბერნიებში, სადაც  
შემოღებული არ არის ერობა, 602,175 მანეთი.  
სულ 5,556,016 მანეთი. ყველა სკოლების რიცხვი  
ავიდა 34,000, რომლებშიაც სწავლობს 1,092,000  
მოსწავლე. 1885 წ. პირველ ავისტომდე 1897 წ.  
სამოსწავლო რჩევას დაურიგებია სკოლებში 8,370,290  
წიგნი 1,386,137 მანეთის სალირალი.

ყველა ესეები ცხადათ მოწმობენ, რომ საეკ-  
კლესიო სკოლების რიცხვი ძლიერ მაღლობს  
და ამის გამო ჩვენ ყველანი ღიღი მაღლობელი უნ-  
და ვიყვნეთ დაუვიწყარი ღვთის-მიერ განსვენებული  
ხელმწიფე იმპერატორის აღექანდრე მესამისა, და  
მისი გვირგვინოსანი შვილის ჩვენი საყვარელი ხელმ-  
წიფისა, რომელიც მამობრიულად ზრუნავს ხალხის  
განათლებისათვის, რომელიც წინდია რუსეთის დი-  
დებისა და წარმატებისა.

ბევრი გაკეთდა ჩვენი საეკკლესიო სკოლებისათ-  
ვის, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთე-  
ბელი. ჩვენ ვიცით ჩვენი სისუსტე, ვუწყით ჩვენი  
სიღარიბე, მაგრამ მაინც იმედი გვაქვს ამ კეთილი  
საქმის წარმატ ბისა. სინამდვილე ასულდგმულებს ამ  
იმედს. მახლობელ და შორეულ სოფლებში ყველგან  
იხსნება ახალი სკოლები, საითკენაც ღიღი ხალხისათ  
გარბიან ბავშები. მრავალი ასი კაცი უანგაროდ  
თავს სწირვენ მასწავლებლობას. უხვ შეწირულებას  
იძლევიან კეთილი კაცები საეკკლესიო სკოლების  
ასაშენებლად და შესანახად. როგორც მზის შუქი,  
რომელიც გზავნის რა ქვეყანაზე თავის მაცხოველე-  
ბელ სხივებს, მოსავს ქვეყანას შვენიერი ყვავილებით,  
ისე სკოლის სწავლის ნათელი იზიდავს თავისადმი  
ახალ გაზდა ძალათა და ნიჭთა. ჩვენ ვიცით სმილენს-  
კის გუბერნიაში ერთ მიყრუებულ აღაგას ერთი  
სკოლა, რომლის კეთილმა მასწავლებელმა, რომელიც  
ადევნებდა თვალს თავისი მოწავლების ნიჭს, მრავა-  
ლი ამოარჩია მათში სხვაზედ მომეტებულად ნიჭი-  
ერნი. ამ სკოლიდან გამოვიდნენ ტრაპეზის ერთგულ-  
ნი მოსამახურენი, ნიჭიერი მხატვარი, და ბევრი  
კარგი მასწავლებელი. რომ ეს სკოლა არ ყოფილი

ყო, ყველა ეს ძალები შეუნიშნავად დარჩებოდენ. რაც უფრო იმატებს სკოლების რიცხვი რუსეთში, მით უმეტეს იმატებს რიცხვი ნიჭიერი კაცებისა, რომელნიც თვისი შრომით და მეცადინეობით ხელს მოუწყობენ სამშობლოს აღორძინების საქმეს. ჩვენს დროს ყოველი ხალხი ძლიერია თავისი შემძლე შრომით, შკოლა, რომელიც აძლიერებს ამ ძალას, დღეს უმეტესად მოწოდებულია, რომ გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქცნდეს ხალხთა და სახელმწიფოთა ბედილბლის საქმეში.

სახელმწიფოს ერთ უპირველეს ზრუნვას უნდა შეადგენდეს წესიერად მოწყობა სკოლისა, რომელ- მაც რიგიანად უნდა მოამზადოს მომავალი მოქალა- ქენი, რომ ამით გაძლიერდეს ეროვნული ძალა თი- თოვეული ქვეყნისა. ყველა დასაწყისი სკოლები სარ- გებლობას მიუტანენ, ვიდრემდის კი მტკიცედ აღას- რულებენ თავის დანიშნულებას. რაც შეეხება საეკ- კლესიო სკოლას, ვიდრემდის კი იგი არსებობს, არ შეუძლია თავის მიზანს უღალატოს. იმ ბავშების სულსა და გულში, რომელთაც ის ზრდის, ნერგავს ქრისტეს მცნებათა, ამზადებს მათ ზეციური ნეტა- რებისათვის, აჩვევს მათ მოყვასთა შემწეობას და ქრისტეს გულისათვის მოწყალების გაცემას; ასე კარგი სკოლა ერთის მხრით ჩანერგავს თავის მოს- წავლეთა გულში წმიდა სარწმუნოების ჭეშმარიტე- ბათ და მეორეს მხრით დაითარიგს ხალხს მწვალებ- ლობისაგან. კარგი სკოლას შეუძლია დაითაროს ხალხი სოციალიზმისაგან, რომელიც აღვიძებს ხალხის გულში სურვილს, რომ ძალ-მომრეობითი საშუალე- ბით განაწილდეს ყოველ კაცთა შორის ქონებრივი შეძლება. საეკლესიო სკოლა ექმარება წმიდა ეკ- კლესისა სარწმუნოების გავრცელების საქმეში და მასთან აწწავლის ხალხს, რომ მან უმეტესად იზრუ- ნოს სულისათვის, რომ ამით მოიპოვონ ნეტარება ცათა შინა; ამისათვის გვასწავლის მიუტევოთ მტერ- თა და კრისტიანული ვაქნეთ იმით, რაც გაგვაჩნია, ძლიერ მცირეც რომ იყვეს იგი. კარგმა სკოლამ, რომელიც მტკიცედ ადგია მაცხოვრის მცნებას, ხალხში უნდა შეიტანოს მშვიდობა და კაცთა-შო- რის სათნაება, უნდა დააცხროს მტრობა და შური, რომელიც აშორებს ხალხს ერთი ერთმანეთისაგან.

ამ სიტყვებით ჩენ ყველასათვის ძირითასი საეკ- კლესიო სკოლის შესახებ ვათავებ თქვენთან ჩემ სა- ჯბარს, და გულით ვისურვებ, რომ თქვენ თქვენს

დიდ სამსახურში, რომელსაც მიზნად აქვს ხალხის განათლება, მოგებობისთვის სრული და კრისტიანულება თქვენ სურვილთა, რათა ეს სახუროთ სიმართლეს და მოყვასთა სარგებლობას.

ღმერთმა ინგბოს, რომ ორ-კლასიანი სკოლები, რომელებშიაც თქვენ ასწავლით, იქმნენ გამავრცელებელი კეთილ მასწავლებელ კაცთა და ქალთა, და დააგვირგვინოს უფალმა თქვენი შრომა სასურველი წარმატებით“.

## მარტივი მუსიკა

იმპერატორის ეპისტოლის გაბრიელისა, მიზანი- ლი სამუშაოსადმი 1860 წლის 10 მარტი. \*)

მდაბალი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, პატიოსანთა მღვდელთა იმერეთის სამწერი- სათა—საუგარელთა, მმათა თანა მწირებელთა ჩემთა, უფლისა მიერ გიხაროდენ.

წებითა და წულობითა ლვთისათა, ხოლო ბრძანებითა უმაღლესის მთავრობისათა ვექმენ აღრჩეულ და გამოგზავნილ ლვდელ მთავრად სამწუსოსა იმერეთისასა.

ამისათვის ვალდებულ შვრაცხ თავსა ჩემსა უწინარეს უოვლისა მოვიქცე თქვენდამი, საუგა- რელნო ძმანო, თანა მწირველნო ჩემნო, და წი- ნა დაგიგო რაოდენიმე სიტუაცია მოძღვრებისა და

\*) განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი 1860 წელში შესვლისათანავე იმერეთის ეპარქიაში მიიქცა თავის ახალი სამწყსოსადმი ამ მოწოდებით. ეს მოწოდება მაშინ ბეგრს გადაწერადა ქანდათ შენახული შინ საკითხავად. ერთი ამისთანა გადაწერილი ამ მოწოდებისა მოვიტანა ჩენ ბეგრს ივანეს ძემ კეთილაძემ დასაბეჭდათ. ვბეჭდავთ ამ მოწო- დების დიდის სიამოვნებით მით უმეტეს, რომ იგი არსად არ დებას დიდის სიამოვნებით მით უმეტეს, რომ იგი არსად არ დებას დაბეჭდილი. რომ ჩააკირდები მკითხველი ამ მოწოდე- ბის შინაარსს და უკავასწნელი სამწყსოსათან გამოთხოვების წერილის სიტყვებს ღრმად დაგაფიქრებს და იტყვი: საუკუნოდ იყოს ხენება შენი დაუვიწყარო მუშაკო და მქადაგებელო ღვთის სიტყვისაო...,, რედ.

ნუგეშინის ცემისა. სურვილ ვარ ვიჩილო კაცად კაცადი თქვენი, ვითარცა მწყემსი სამწყსოისა და ვითარცა მამა შვალთა საყვარელთა, რათა პირის პირ სიტუითა ცხოველითა ვაკრობო თითოეულსა გულის ზრახვანი ჩემნი, გარნა არა მცირე უმი განვლის ვადრემფის აღვასრულებ წალილსა ამას ჩემსა; ხოლო აწ არ მოითმანა სულმა ჩემმა და მაძულებს, რათა მოგწერო თქვენ მცირე ესე წერილი. გთხოვ გულ-მოდგრეთ და ურადღებით წაიკონოთ იგი და სცდილობდეთ აღსრულებად მისა.

უწინარეს და უმეტეს უოვლისა გლოცავ ძმანი, რათა უოველოთის გახსოვდეთ და არ დაივიწყოთ, ვითარმედ უდიდეს არს უოველთა წოდებათა წოდება ჩვენი, უმჯობეს და უსაჭიროეს უოველთა მსახურებათა მსახურება ჩვენი და უწმიდეს უოველთა საქმეთა საქმე ჩვენი, და თუ ეს ესრეთ არს ცხოვრებაცა და ყოფა-ქცევა ჩვენი უნდა იყოს უწმიდეს და უპატიოსნეს ცხოვრებასა უოველთა ერის გაცთახა, ვითარცა რჩეულთა და წინამძღვართა ერისათანა-გვამს წინა უძღვდეთ მათ. სიტუითა და საქმითაცა, და აღვემატებოდეთ მათ ზედა უოვლითა სათნაბითა. არიან მრავალნი თქვენ შორის, რომელნიც ფერობენ, რომელ სრული მათი მსახურება მხოლოდ მას შინა მდგომარეობს, რათა სწირონ, ილოცონ და საიდუმლონი ადასრულონ ეკულესია შინა, გარნა არა ჭეშმარიტ-არს ჰაზრი ესე! ბოლო მსახურებისა ჩვენისა ას არს, რათა ერი დავუხოთ კეთილსა კვალსა ზედა; მსახურება ჩვენი წინა პირველად მას მოითხოვს, რათა უოველნი განვამტკიცოთ სჯულსა ზედა ქრისტესა, რათა სარწმუნოება და კეთილი უოფა-ქცევა, ორნი ესე, თვინიერ რომელთა ცხოვრება სულისა არა შესაძლო არს, იყოს შეურუეველად დამუარებულ გულთა შინა ქრისტიანესათა. ხოლო ღვდელი, რომელსა ჰსურს კეთილად ადასრულოს ვალი თვისი და მარგებელ-ეროს თვისა სამწყსოსა, უმეტეს უოვლისა უნდა ცალილობდეს, რათა მიიღოს სიყვარული, სმენა და პატივი მრევლისა თვისისა, ეითარ ადასრულოს მდვდელმა საქმე თვისი, თუ მრევლისა არა აქვს სიყვარული და სმენა მისდამი! ვითარ განამტკიცოს და ასწავლოს მან მორწმუნეთა, თუ იგინი არ

უჯერებენ მას? ხოლო გსურსა ჰქონდეს მრევლისა შენსა სმენა და სიუვარული შენდამი. შეიქვარე შენცა მრევლი შენი; ვინაიდგან სიყვარულისა განაჩენს და მოიზიდავს მხოლოდ სიუვარული, ხოლო სიუვარული შენი მაშინ გამოუჩნდება უოველთა, ოდეს ნახვენ, რამ შენ ჩარ მარადის მონაწილე ჭირთა და განსაცდელოთა მათთა, ოდეს უოველნი ცხადათ მ ხვდებიან, ვითარმედ შენ ხარ მ.მა და მეგობარი მათი, ნუ დაივიწევებთ საყვარელნო, ვითარმედ დმერთი გამოიყითხავს ხელთაგან ღვდელისა თვითოეულისა მისდამი მინდობილისა ქრისტიანისასა; ამისთვის ფრთხილ და მღერიან იყოს კაცად კაცადი თქვენი სამწყსოისა თვისისა, თვითოეულმა თქვენგანმა მტკიცედ იცოდეს სულიერი მდგომარეობა კაცად კაცადისა თვისისა სამრევლოისასა, ესე იგი, რომელსა რა თვისება აქვს, ანუ რა ნაკლულევანება და ცალდვა ჭირს, რათა საჭიროებისამებრ შეიძლოთ სწავლა, მხილება, ანუ განმტკიცება და ნუგეშინის ცემა მათი- უძლეულთა განამტკიცებდეთ, ბილწა ამხილებდეთ, ჭირვეულთა ნუგეშინის-ცემდეთ და ესრეთ აღასრულებდეთ სჯულსა უფლისასა. ეპილესისა თქვენს კაცად კაცადი იცავდეს სიწმიდით და სცდილობდეს და შეამკის იგი. ერთა ნუ უტევებთ ურიგოთ და უკრძალველად იდგნენ ეკულესია შინა. ეცადეთ, ძმანი, რათა არცა ერთი ქრისტიან დარჩებოდეს უზიარებელი და შეენანებელი მთელს წელიწადს. ურთიერთობასა შორის ეცადეთ გქონდეთ სიყვარული და ერთგულება... რათა ერნიცა მიიღებდენ აღმენებასა, მიხედველნი თქვენის ურთიერთობრივისა სიყვარულისა.

საყვარელნო, ნურცა დამძიმდებიან გულნი თქვენი მსოფლიოთა საქმეთა შინა, ზედა ადგიათ და მარადის ასწავებდით ერთა თქვენთა და ჩემსა დაკლებულსა თქვენ ადავსებდით, რათა გქონდეთ გვირგვინი ცხოვრებისა, ამხილებდით და ასწავებდით უამსა და უუამოსა, ნუ დაკლებთ კეთილთა სიტუათა და მოძღვრებათა და უკეთუ ესრეთ ჰეოთ, ახარებდეთ სულისა ჩემსა და თქვენ-

ଶାତ୍ରା; ତୁମ୍ଭୁ କେନ୍ଦ୍ରପ୍ରିଣ୍ଟା ଶକ୍ତି ଯାଏ କେବେଙ୍ଗାନ୍,  
ଗୁରୁନା ସ୍ଵାମୀଙ୍କର ମାତ୍ରାଙ୍କଳ୍ୟ.

ვიცი ძმანო, რომელი უმრავდესი რიცხვი  
თქვენ შორის დამძიმებულ-არს და ჭირველ  
სიღარიბითა, გარნა მსახურება ჩვენი არა არს  
ძებნა მსოფლიოთა ნივთა და კმაყოფილებათა,  
ისმინეთ საღმრთო წერილისაგან: «ეძიებდით სა-  
სუფეველსა და ესე უოველი შეგეძი-  
ნოთ თქვენ» უტუულ არს სიტუა იგი: ვითარცა  
ღვთისა მოუგარეთა ყაველი განემარჯვების «და  
თქვენცა, უკეთ იქმნებით ღვთისა მოუვარენი. მოიხსენეთ გვალად რაისა ჰერის მოციქული  
პავლე: „შენ უგეთ ჭირი მოითმინე ვითარცა  
კეთილმან მხედარმან ქრისტესამან“. მხედარნი  
ვართ, ძმანო, ქრისტესნი და მარადის გვაქვნდეს  
თვალთა წრნაშე მხედართ-მთავარი იგი, რომელი  
არა თავსა თვისსა კმა ეყო, არამედ ჭირი მოით-  
მინა, ჩვენ უოველთათვის. მეტუმით ვითარმედ  
ცოლნი და შეიღნი გვისხენ და არა ძალგვაძს  
და არცა გვცხლიან კეთილისა საქმედ, ურგებ არს  
სიტუა ესე: პირველად შეავეზრნით იგინი მოწ-  
ყალესა მამასა, და ნუ განუტევდთ სასოებასა  
ღვთისადმი, რომელნი ფრინველთა ზეცისათა  
არა დაივიწყებს, არამედ ზრდის მათ,


სხვებრ, ძმანო, თუმცა მას მიერ და ვიცი  
თქვენ შორის მრავალი უწესობა, გარნა არა  
მსურს, რომელი პირველი ჩემი სიტყვა თქვენდა  
მომართ იყოს უველრება და სამდურავი, ამისათვის  
გთხოვთ ამიერიდგან უოველნი კეთილსა ზედა  
სდგეთ, და რაც რამ არის თქვენ შორის ურიგო  
მოსპოთ, რათა არა ჭირი და განსაკუდელი ვნანო  
თქვენგან, არამედ ნუგეშინის ცემა და სიხარული,  
მაჟლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იუვნ  
თქვენ ზედა. ამინ.—

ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალნი კანტორის მდივანი ილია  
მოსეს ძე კიკნაველიძე.

სამს სეკტემბერს სოფელს სვირში გარდაიცვალა  
ილია მოსეს ძე კიკნაველიძე. აგვისტოს თვეში გან-  
სვენებულმა მიიღო თავისუფლების ნებართვა 25  
დღით. ჯერეთ თავის სახლში. ს. კიკნაველეთს ცხოვ-  
რებდა, ბოლოს სიმავრს ეწვია სოფელს კვალითში.  
აგვისტოს 30-ს ილია მოსეს ძე თავისი ცოლ-შვი-  
ლით საღილათ ეწვია ბლაღოჩინს დეკ. მიზეილ  
მჭედლიძეს. აქ სტუმრები დარჩენ ნაშუადლევის ოთხ  
საათაში. საღამოს ცოლ-შვილი ურმით გაგზავნა  
ბალდათში, სადაც მიპატიუებული იყო ქორწილში.  
ცოტა ხნის შემდეგ ცხენებით გაემგზავრენ ი. კიკ-  
ნაველიძე, კ. გუნდაძე (სიმავრი ილიასი, მღ. ს. მჭედ-  
ლიძე და საყვარელიძე). გზაში რევოლვერი გავარდ-  
ნოდა განსვენებულს, ცხენი დამფთხარიყო და გატე-  
ნებოდა. როცა აღვირი მოეწია, კიდევ გაყარდნოდა  
რეოლველი და ცხენს ყურის ძირში მოხვედრო-  
და ტყვია. ცხენი მაშინვე წაქცეულიყო და განსვე-  
ნებულიც გადმოეგდო და თავით დაეცა ძირს. მისი  
მოგზაურები მოშორებით ყოფილიყვნენ: გაეჭენებიათ  
ცხენები, ცხენები წაქცეულს ცხენს დატაკებოდნენ  
და ყველანი წაქცეულიყო, ზედ მსხდომნიც გარდ-  
მოვარდნილიყვნენ. კიკნაველიძეს მაშინვე ცნობა  
დაკარგოდა. ავალმყოფი მოყვანათ ისევე ბლაღოჩი-  
ნის მჭედლიძისას. მოიყვანეს ექიმები, მაგრამ მათ  
ვერაფერი საშუალებით ვერ მოიყვანეს ავადმყოფი  
გრძნობაში და ოთხი დღის შემდეგ რგო გადაიცვალა.

6 სექტემბერს განსვენებულის გვამი სვირიდან  
იილის ეკლესიაში მოასვენეს. აქ განსვენებუ-  
ათვის წირვა შეასრულეს. მწირველი ბრძანდე-  
ბა არხიმანდრიტი ლეონიდი ადგილობითი  
ლესის კრებულითურთ. წირვის შემდეგ მამა  
ნიღმა მოკლე და გრძნობიერი სიტყვა წარმოს-  
ანდნილა მოკლე და გრძნობიერი სიტყვა წანაშვილის  
განსვენებულის კუბოს წინაშე. პანაშვილის გარ-  
ების შემდეგ მიცვალებული წამოსვენეს. კიკნა-  
ებული შემდეგ მიცვალებული წამოსვენების დროს  
ყელირიაში დიდ-ძალი ხალხი დაესწრო....

12 სექტემბერს იყო დასაფლავების დღე დანიშნული. ამ დღისათვის სოფ. კინაველებს მიმატიუ-



ბული იყო ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი. აქაც დიდ ხალხი ხალხი შეიკრიბა განსვენებულის პატივსაცემლად. 13 სექ. ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა წირა და განსვენებული დაკრძალეს.

განსვენებულს თბილ. სას. სემინარიაში ჰქონდა სწავლა დამთავრებული. კურსის დამთავრების შემდეგ განსვენებული გალობის მასწავლებლად დაინიშნა ქუთ. სას. სასწავლებელში. ამ თანადებობაზე მსახურებდა 4 წელიწადი. შემდეგ დაიწყო სამსახური სინ. კანტორაში (იყო სტოლის უფროსად). ბოლოს 1892 წ. დაინიშნა მდივნად. ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოებული იყო სტანისლავს მეორე ხარისხის და ანნას მეორე ხარისხის ორდენებით. განსვენებული მეტათ პატივის მცენელი იყო თავისი ნათესავებისა და ნაცნობების. განსვენებული შობიდამ 50 წლისა იქნებოდა, მაგრამ იგი როგორც კაი ტან-მრთელი კაცი ჯერ კიდევ დიდხანს იკოცხლებდა, ვინაიდგან შეტად ჯან მრთელი იგებულების იყო. დარჩა ცოლი და ორი ქალიშვილი.

### + ნეკროლოგი,

თავადი ალექსანდრე გიგოს ძე შულუკიძე.  
14 სექტემბერს დაბა საჩერეში გულის დამბლით უეცრათ გარდაიცვალა თ. ალექსანდრე გიგოს ძე წულუკიძე. განსვენებული ერთ დროს ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულოში მსახურებდა მდივნად, მაგრამ მან თავი დაანება ამ სამსახურს და ვექილად დაუდგა მეორე ვილდის ვაჭარს გედევან ზ. ჩუბინიძეს, რომლისაგან მეტ ჯამაგირს იღებდა, ვინემ მდივ-

ნობის დროს. განსვენებული მომეტებულად საყვარელი კაცი იყო ყველასათვის. იგი მზად იყო ყოველი კაცისათვის დახმარება აღმოჩენისა. განსაკუთრებით ფრიად შემბრალე და დამხმარე იყო გლეხ-კაცისათვის. მისმა გარდა ცდლებამ თავზარი დასკა არა მარტო მის მონათესავეთ, არამედ მთელ გლეხობას, რომელსაც ღდესმე ვანსვენებულთან რაიმე საქმე ჰქონებია. საჩერების საზოგადოებამ დიდი პატივი სცა განსვენებულის გვამს გამოსვენების დროს. საჩერებიდან განსვენებული მოასვენეს სამტრედიაში და იქიდან გაასვენეს სოფ. საწულიკიძეოში. გზებში ყველგან დიდი ხალხი ეგებებოდა განსვენებულს და გულით გლოვდა მის ასე უდროვოდ გარდა ცვალებას. განსვენებულს დარჩა ცოლი და ექვსი შვილი, რომელთა შორის უფროსი ვაჟი 11 წლისაა. განსვენებულმა ამ უფროსი ვაჟის მოსამზადებლად 1200 გ. დახარჯა, მაგრამ ყმაწვილმა წელს ეგზამენი ვერ დაიჭირა და სასწავლებლის გარეშე დარჩა. ასე უბრალოდ ჩავლილმა ხარჯმა და ბავშის სასწავლებლის გარეშე დარჩენამ ფრიად შეაწუხა განსვენებული და ამ ჯავრმა კიდევ გადიტანა თან. განსვენებულმა მითხრა ამას წინეთ: „ათას ორასი მანეთი ტყუილ უბრალოთ დავლუჟე, არ მიჯობდა, რომ ამ ფულით შვილისათვის მეყიდა ადგილი და საზრდო გამეჩინა? როცა ამ სიტყვებს ამბობდა, განსვენებულს ცრემლები მოდიოდა თვალებში. ამ შემთხვევისა გამო განსვენებული გრძნობდა მეტის-მეტ გულის წუხილს, რომელმაც კიდევ გადიტანა თან. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო, მშვილო და უამბარტავნო კაც!

## „მუშაოსი“-ს პორჩევა და დანართი

შორაპნის გაზრიდან.

ივერიის ერთ ნომერში, ახალ ამბებში, ვიღაც მოამბე სწერს: «ვერტყვილის მღვდელს მელ— ეკა აბ—ძეს ყაჩალები მიუხდნენ, დიდ—ძალი ფული წართვეს და სასიკვდინოთ დაჭრილი მღვდელი ცოცხალ— მკვდარი დატოვეს. ქურდი ერთი დაბატიმრეს და სხვები კი სურამის მთებში იმაღლენ თავს».

სიცრუე ეხლანდელს დროში იშვიათი არ არის, მაგრამ არც ამისთანა ცხადი სიცრუე გაუგონია ჩემ ყურს. ბატონ მოამბეს ან არ სცოდნია და ან განგებ გაუზიადებია ეს მართლა სასაცილო ყაჩალობა და მით შეცდომაში ჩაუგდია რედაქტია. აი, ჩაქმე როგორ იყო: ორ სექტემბერს, სამშაბათს, შუალამისას, ს. ვერტყვილიდამ ერთი ალიაქოთი და ხმაურობა მოისმა: „არიქა, გვიშველეთ, მღვდელი მოგვიყდეს, მღვდელიო“ . ამ ხმაურობამ თითქმის ნახევარი ხუნვეის საზოგადოება შეაჩინებოლა და მოაგროვა ვერტყვილელების მღვდლის მ. აბ—ძის სახლში, სადაც მისი მეათედიც არათერი უნახავსთ, რაც ხმაურობა იყო. მღვდელი საზაფხულო საბანში გახვეული, თმა გაშლილი და წვერებ გაწერილი, საზარლად ხვნებულა, ოხრავდა, ხელებს თავსა და პირზედ ირტყამდა და იძახოდა: „დედა, დედა, დედა! ეს მუხლი იმათ მომჭრეს (უჩვენებდა ოდნავ გაფხაჭულ მუხლზედ) და ხანჯალს კისერზედ მიიღერებდენ თავის მოსაჭრელათ; ეს მოვერტხლული ჯოხი გატეხეს და მერე, როგორც ეს, ისე საათი და ჯვარიც, ის ასე დააწყვეს კამოდზედ წასაღებათ და წასვლაზედ დარჩათ. ყაჩალები ორი იყო, ერთმა ხანჯალი დამაჭირა კისერზედ და ფული მთხოვა, მეორემ კი დაუყვირა: «რას შვები, ღორი, მღვდელი მართლა არ შამოგვაკვდესო». და მოუვიდათ ერთმანეთში ჩეუბი. ამ დროს მე კამოდს ვალებდი ფულის ამოსალებათ, მაგრამ იმათ თავი დავანებე და პირ-და-პირ ბალკონზედ გადმოვხტენი. ყაჩალები ერთი პირ ახვეული იყო, მეორე პირ ახდილი. პირ ახვეული ვიცანი, მაგრამ ჯვარზედ დამაფიცა არ გამთქვაო და ვერ ვიტყვიც“. ამ სიტყვებმა და იმ გარემოებამ, რომ ყაჩალებისაგან გატეხილ ჯოხსა და ოდნავ გაფხაჭულ ბარძაყს გარდა, არა აკდა—რა, ყველა იქ მყოფი ძლიერ დააეჭვიანა. სოფლის მწერალმა, რომელიც იმ ღამეს იქვე

მახლობლათ სტუმრათ ყოფილიყო, მიმასახლის მოსვლამდის ფიცხელი ბრძანება გასცეა და მომაშენი— კებზედ» გზების შესაკრავათ. ამ ყაჩალობის დროს მღვდელი სახლში მარტო იყო, ცოლ-შვილი ს. მუხურაში ყავდა წაყვანილი სამი-ოთხი თვის წინეთ. მეორე დღეს მობრძანდა ადგილობრივი ბოჭაული ბ. ღოლობერიძე. ბოჭაულის მოსვლა მღვდელს არაფრათ ეჭაშინიკა და თავის მეგობარ მიხვდა მწერალს უთხრა: „რათ მიქენი, კაცო, ეს საქმე, ეხლა ამისათვის მთავრობამ უნდა მათრიოს!“ ბოჭაული რომ დააკვირდა საქმეს, მღვდელს ჰქითხა: «მამაო, ბალკონის კარგი ჩაკეტილი გქონიათ, ქვევიდამ კაცი ამ სიმაღლეზედ თქვენ გაუგებლათ ვერ ამოვიდოდა, რადგან, როგორც ამბობთ, აქვე ღია კარებთან წოლილხართ და ეს ყაჩალები საიდან შამოგვპარენ?“ რადგან ამაზე ჯეროვანი პასუხი ვერ მიიღო, ბოჭაულმა თავის გაქნევით სთქმა: «თორმეტი წელიწადი პრისტავად ვარ და ასეთი ყაჩალობა არ შემხვდერია, ეს ამბავი მოხერხებულს გავს»—ო. ბოჭაულმა მაინც ყველა პოლიციური წესები შეასრულა. მღვდელმა დიდის ხვეწნის შემდეგ დაასახელა ის ყაჩალი, რომელმაც დააფიცა არ გაეთქვა. ეს ყაჩალი ისეთი კაცია, რომ არა თუ დღეს, მოხუცებაში (60 წლის იქნება), არც წინეთ, როცა დღევანდელზედ უფრო ღარიბი იყო, არაფერ ცუდ საქმეში არ შენიშნულა და მთელ საზოგადოებას ყოვლად პატიოსან და სანდო პირით მიაჩინა. ის, თუმცა პოლიციას არ დაუტუსალებია, მაინც გულ შეწუხებული და შერცხვენილი იდგა ხალხში, თავს მაღლა ვეღარ იღებდა და საბრალოთ ამბობდა: „კაცი დავგერდი და ავკაცობას სხეისას რომ გავიგონებდი, ის მაწუხებდა, დღეს თუ მე ყაჩალობა ჩავიდინე, ღირსი ვიქნები და აქავე დამალრჩვეთო“. ხალხი დაიშალა, ყველანი წავიდწამოვიდნენ; მღვდელიც მეორე თუ მესამე დღეს ცოლშვილთან 50 ვერსის მანძილზედ ს. მუხურაში გაემგზავრა. ერთი კვირის შემდეგ გამომძიებელიც ოვიდა სახერედან. მღვდლის სახლი გაჩირიკა, თუმცა მღვდელი შინ არ იყო, ვერავითარი ნიშანი ყაჩალობისა ვერ ნახა, მღვდლისაგან დასახელებული ყაჩალი თავისუფალი გახდა და დიდათ დაეჭვიანებული ამ მიხდომის სიმართლეში დაბრუნდა უკან.

## ახალი ძმები და შერიშვნები.

8 სექტემბერს გელათის მონასტერში, ტაძრის დღე-სასწაულობის დღეს, მწირველი ბრძანდებოდა შმართველი იმერეთის ეპარქიისა ყ-დ სამღვდელო ბესარიონი მოწამეთის მონასტრის წინამდღვრის ჭ გელ. მონასტრის კრებულის თანამწირველობით. მლოცველებით ტაძარი შიგნით და გარეთ მთლად გატენილი იყო. ამ დღეს ხუთჯერ-ექვსჯერ მივიდ-მოვიდა რკინის გზის მატარებელი ქუთაისა და გელათ შეუ და თითო-კაცს თითო მანეთი მაინც დაეხარჯებოდა, მაგრამ მონასტერს, ჩვენის აზრით, ორმოც მანეთ ზევით არ შეუვიდოდა. სასიამოვნო ის იყო მარტო, რომ აქ „არგნების“ და მუზიკის ჭაჭანება არ ყოფილა. .

ნაწირვებს ყოვლად სამღვდელო, სამღვდელოება და ჩინებული საზოგადოება მიწვეულნი იყვნენ მონასტრის წინამდღვრის მიერ სადილათ. საღამოზე სტუმრები დიდათ ნასიამოვნები წაბრძანდენ ქუთაისში.

\* \*

ალავერდის ეპისკოპოსი, შეართველი იმერეთის ეპარქიისა ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, შორაპნის მაზრისკენ მიბრძანდება სარევიზიოთ ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

\* \*

ერთი ვაჭარი ურია დატვირთული ცხენით გამგზავრებული რაჭისკენ დაიკარგა. სამი კვირა არის რაც ეძებენ, მაგრამ ვერა გაიგეს რა.

\* \*

ისევ ძველებურად, ჩვენებურად დაიწყეს ქვა-გუნდის ზიღვა ურმებით ცვირილაში და ბევრიც მოაქვსთ, ფუთი 13 კაპ. ჭიათურის რკინის გზა შესვენებულია! რკინის გზაშ დიდი ზარალი მისცა მცხოვრებლებს ქვის საზიდავის ქირის წართმევით და უმეტესი კიდევ მით, რომ საზოგადოებისაგან გაყვა-ნილი გზა გაუფუჭა და მაგიერი არ გაუკეთა...

\* \*

ჩვენ შევიტყეთ, რომ სახალინში მყოფი ქართველებისათვის წიგნებს აგროვებს ივანე თ. არდიშვი-ლი და ითხოვს, რომ თუ ვისმეს სურს წიგნის გაგზავნა, დაუჩქარონ მასთან გაგზავნას ყვირილაში. წიგნების გაგზავნას იგი თავის ხარჯით კისრულობს.

\* \*

საერო განათლების სამინისტრომ ბრძანება და-უგზავნა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს. ჩოგ გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და რეალურ სასწავლებ-ლებში ძველ ენებისა, გეოგრაფიისა, ისტორიისა, რუსულის ენისა და სიტყვიერების მასწავლებლებად მომეტებულ ნაწილად დანიშნულ იქმნენ ჰეტერბურ-გისა და ნეინისკის საისტორიო-საფულოლოგო ინსტიტუტებში სწავლა-დამთავრებულნი.

\* \*

მომავალ წლიდებან ზოგიერთ დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან დარსებულ იქმნება კურსები ხელოსნობის შესასწავლად, რისთვისაც მი-წად-მოქმედების სამინისტროს უთხოვნია 10,000 გ. კრედიტი.

\* \*

„ახალი მიმოხილვა“ იუწიუება, რომ კახეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ გამოკვლევანი სოფ. ახმეტამდის მიუყვანიათო. ამ გამოკვლევით ლიან-დაგრ მოხვდება თელავის გაზრის ნახევარს და თიო-ნეთის მაზრის რამდენსამე ნაწილს.

\* \*

2 სექტემბერს, მაღალ ყოვლად უსამღვდელო-ესი პალადი, მიტროპოლიტი ჰეტერბურგისა და ლა-ლოუსკისა, ცოტა ხნით წაბრძანდა ყირიმში.

დღის 11 საათზე, წირვის გათავების შემდეგ, წმ. სამების ლავრის საკრებულო ტაძარში ყოვლად სამღვდელო ითანხმებოდა, ნავრის ეპისკოპოსმა ორი არქიმანდრიტის და ლავრის ბერ-მონაზონთა თანამ-წირველობით საგზაო პარაკლისი შეასრულა. წირვა-ზე და პარაკლისზე გალობდა მიტრაპოლიტის მთელი გუნდი მგალობელთა. პარაკლისზე შეიკრიბნენ სასუ-ლიერო სასწავლებლების მეუფროსენი და მასწავლე-ბელნი: აკადემიის პროფესორები, სასულიერო სემი-ნარიის და ალექსანდრე ნეველის სასულიერო სას-წავლებლის მასწავლებელნი. ამავე დროს საგზაო პარაკლისი შესრულებულ იქმნა ისაკიევის საკათედ-რო ტაძარში მღვდელ-მთავრის გდოვის ეპისკოპოსის ნაზარისაგან ტაძრის კრებულის და სატახტო ქალაქის სამღვდელოებითურთ.

ბევრი სხვა გარეშე პირნიც დაესწრენ, რომელ-თაც სურდათ შევეღრებოდენ უფალს მღვდელ-მთავ-რის მშვიდობით მგზავრობისათვის.

7 საათზე და 30 წამზე დანიშნული იყო მათი შეუფების წაბრძანება ნიკოლაევის რკინის გზით.

ამ დროისათვის ნიკოლაევის რკინის გზის სადგურის დარბაზში, შეიკრიბნენ სასულიერო და საერო უწყებათა წარმომადგენელნი: მღვდელ მთავარნი ანტონი, მთავარ-ეპისკოპოსი ფილიანდისა და ვიბორგ-სკისა, და ქორ ეპისკოპოსნი პეტერბურგის ეპარქიისა — იოანნე, ეპისკოპოსი ნავრისა, და ნაზარი, ეპისკოპოსი გდოვსკისა; უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ვ. კ. საბლერი, მმართველი სინოდის კანცელარიისა ს. ვ. კერსკი, წინამდგრავარნი ისაკიევისა და ყაზანის საკრებულო ტაძრებისა, წევრნი სასულიერო კანსისტორიისა და სატახტო ქალაქის დეკანოზები, წარმომადგენელნი სასულიერო აკადემიისა, სასულიერო სემინარიისა, ალექსანდრო ნეველის სასულიერო სასწავლებლისა, ბერ-მონაზონი ალექსანდრო ნეველის ლავრისა და მრავალი გარეშე პირნი.

მათმა შეუფებამ ლოცვა-კურთხევა გადასცა შეკრებილ საზოგადოებას. როცა მატარებელი დაიძრა, ხალხში გაისმა: «ღმერთმა მშეიღობის მგზავრობა მოგცეს».

## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობის სამწმართებლად და კეთილ-ზნებაზე

### ხმა მოძღვრისა სამრავლებლისადმი.

საუბრი ჩათვა.

დავთის სიტეგაზე

თესლი იგი არს სიტყვა ღმრთისა  
(ლუკ. 8, 11).

იგავი, რომელიც თქვენ გეამათ დღეს, ძმანნო საყვარელნო, განმარტებას არ საჭიროებს, ვინაიდგან თვით სახიერმა შაცხოვარმა ჩვენმა განმარტა ამ იგავის მნიშვნელობა. როგორც თქვენთვის ისე ჩემთვის

საჭიროა ჩაუფიქრდეთ ამ იგავის დედა აზრს და შევიტყოთ ჩვენშიაც ხომ ის არ ემართება ღვთის სიტყვას, რომელიც გვესმის მუდამ ღლიდგან ჩვენს დაბადებისა, რაც დაემართა თესლს, რომელიც დავარდა გზის მახლობლად კლდესა ზედა, ანუ ეკალთა შორის, მკის დრო შეუნიშნავად გვიახლოვდება, ესე იგი ჩვენ ყოველ დღე უახლოვდებით ჩვენი აღსა-რულის დღეს; სახლის უფროსი მაღა მოვა თავისი მინდვრის დასახედავად; ვარ მიწას უმაღურს, რომელსაც არაფერი არ აღმოუმცენარებია!

როცა მიწის მუშა სთხეს თავის მინდობზე, ზოგი თესლი ვარდება გზასა ზედა, ზოგი კლდესა ზედა ზოგი ეკალთა შორის, ზოგი კი ნოყიერს მიწაზე. რაც ვარდება გზასა ზედა, იმას გამვლელ-გამომვლელნი თელავენ ფეხით და ჰერნკავენ ფრინველნი; რაც ვარდება კლდესა ზედა, ის ხმება, რადგან სინოტი არა ჰქონია; რომელიც ვარდება ეკლთა შორის, იმას ეკალი აჩრდილებს და ახმობს: მაგრამ ის თესლი კი, რომელიც დავარდა კაი მიწაზე, იღებს ფეხს, იზრდება და მოაქებს ნაყოფი. რომელთა აქვთ ყურნი სმენად, დაე ისმინონ, თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს. ხოლო შენ. ტკბილო ისაევ! მოგვივლინე შენი მადლი, რომ შევიგნოთ შენი სიტყვა, თორემ უამთსოთ იგი ჩვენთვის უსარგებლო იქნება!

### I.

მთესველი, რომელიც გამოვიდა თესვად, არის ძე ლვთისა, რომელიც მოვიდა ქვეყნად, რათა თეითონ მან პირის პირ შეიმუშაოს ყანა და დასთესოს მასზე სიტყვა ჭეშმარიტებისა, რომელიც გამოიცხადა ყოველ კაცს განურჩევლად. როცა მიწის მუშა სთხეს, ის ცდილობს თესლი მხოლოდ იქ გააგდოს, სადაც მიწა უკვე მომზადებულია; რომელი თესლიც უალაგო ალაგის დავარდება, ეს მოხდება მთესველის უნებურად. ასე არ იქცევა იქსო ქრისტე, რომელმაც დასთესა ძეირთასი თესლი ლვთის სიტყვისა დიდ გზებზე, უდაბნოებში, და კლდეთა ზედა და ეკალთა შორის; ესე იგი ლვთის სიტყვა გაურჩევლად გამოკადათ მდიდართა და ლარიბთა, დიდებს და პატარათ, კეთილთა და ბოროტთ, ვინაიდგან ამ სიტყვას აქვს ძალა გაახმოს ეკალი, განაპოს კლდე, გაარბი-

ლოს ქვა, შესცვალოს მიწის ნიაღაგი და უნაყოფო და საოცარი უდაბნო გარდაქმნას ნოკიერ მიწად, რომელიც აღმომცენარებს ყოველივე კეთილს ნაყოფს.

ასეთ ზედმოქმედებას იქნიებს ღვთის სიტყვა თვითოვეულ ჩვენზე, თუ ჩვენ მოვერიდებით ყოველ იმ დაბრკოლებათ, რომელიც უშლიან, რომ ღვთის სიტყვა მოხვდეს ჩვენს გულს და მუდამ იმას ვევდებით ზეციურ მამას, რომ მისი შემწეობით ეს სიტყვა განვახორციელოთ. მაგრამ რომელი ჩვენგანი ცდილობს, რომ ეს დაბრკოლებანი მოსპოს? ვინ ცდილობს, რომ ღვთის სიტყვით ისარგებლოს? ქრისტიანეთა სამი მეოთხედიც არ ფიქრობს ამაზე; ღვთაებრივი თესლის სამი მეოთხედი უნაყოფოდ რჩება და იკარგება.

პირველად ღვთის სიტყვა დაკარგულია იმ კაცთავის, რომელიც მუდამ გაფანტული არიან და ხასიათ დაუჯდომელნი, მათი გული და გონება ემსგავსება დიდ შარას, რომელზედაც ყველანი დაირინ, ყოველივე აზრისათვის მათი გული და გონება ხსნილია; ასეთმა კაცებმა არ უწყიან, თუ რა არის თავის გაფრთხილება, ისინი ისმენებ და უცქირენ ყოველივეს, რაც კი მათ შეხედებათ, ისინი ამბობენ და მოქმედებენ ისე, როგორც დრო, ადვილი და გარემოება მოითხოვს. ერთ წამში რომ ასეთ კაცებს კეთილი აზრი აქვსთ, მეორე წამში მათში იბადება ცუდი სურვილი და ლტოლვილება. ამ წამში რომ იგინი ვედრებას აღავლენენ ტაძარში ღვთისადმი, იქიდან როგორც კი გამოვლენ, გაექანებიან სამიკიტონებში და ან სხვა ადგილს და იქ მეტის-მეტი ღვინის სმისგან უშვერი და უმსგავსო სიტყვების მეტი არაფრერი ისმის მათგან. დილით ისინი ისმენენ ქადაგებას და ამბობენ: ეს კაცი სწორეთ შეენიერ ქადაგებას ამბობს”; საღამოთი იგინი მიდიან ტეატრებში ანუ ცირკებში და ამბობენ: „ამ მსახიობს ტოლი არა ჰყავს, იგი სასწაულებს შვება სწორეთ“. ამ საათში რომ ასეთი კაცები კარგ წიგნს კითხულობენ, მეორე საათში ხელში უჭირავთ ცუდი შინაარსის წიგნი. დღეს რომ სარწმუნოების სიტყვებით გებასებიან, ხვალ ხედავთ, რომ იგინი დაცინიან კეთილ მსახუროთ. აგრე შეხედავთ მათ, რომ მოყვასისთვის თავს იდებენ, მეორე ადგილს კი დასკრინიან მათ. ასეთი კაცები სწორეთ მსგავსი არიან, დილი გზებისა, რომლებზედაც ერთ გვარად დაიარებიან:

კაცები, ცხოველები, მტაცებელი, კეთილ გაცავა; ერთი რომ მიდის, მეორენი მოდიან, ასეთ გზებზე თქვენ ხედავთ ყოველ გვარ საგანს და ყოველ გვარ ფერს. ასეთია გონება და გული უმეტესი ჩვენი მსმენელებისა! სწორეთ ასეთ მდგომარეობაში არიან ისინი, როცა ისმენენ ჩვენს სიტყვას. ზოგი იმიტომ გიგდებს ყურს, რომ შეგნიშნოს რამე ნაკლი, მერე გაგვიცხოს. ხოლო ისეთი მსმენელნი, რომელთაც სურდეთ ღვთის სიტყვის გაგონება და აღსრულება, ძლიერ იშვიათი არიან. ხან იმასაც არ ფიქრობენ, რომ რაც იმათ ესმისთ, ის ღვთის სიტყვა იყოს: ისინი ისე ისმენენ ღვთის სიტყვას, როგორც სხვა რამე უბრალო ამბავს.

რა წარმოდგება აქედან? ცუდი გულის თქმანი და სურვილი, რომელნიც დაუბრკოლებლად შედიან ცოდვილის გულში, ახმობენ კეთილს ნაყოფს, რომელიც კი მოხვდება ასეთ გულს. ამ კეთილ თქსლს სპობენ ცოდვილი კაცის გულში თავმოყვარება, შურის ძიება, უსირტხობა, აქ იმადებინ ცუდი გულის თქმანი და სახეები, რომელნიც აგდებენ კაცს ცოდვის ჯურლმულში, იმის შემდეგ ბოროტი სული, რომელიც მეფობს ასეთ გულში, იტაცებს ყოველივეს, რაც კი რამ დარჩა ცოდვილს გულში კეთილი თესლისაგან, რომლის ძალა უწყის ბოროტმა სულმა და რომელთა ნაყოფს იგი ერიდება.

აი, ძმანო ჩემნო საყვარელნო, ნამდვილი აზრი დღეს წაკითხული სახარებისა; მე არ ვიცი, თქვენ გაიგეთ იგი თუ არა? მე რაც შემეხება, ყოველთვის შევძრუწუნდები ხოლმე, როცა მოვიგონებ ნეტარი ავგუსტინის საუბრის ერთ ადგილს. „ვინც შეუფერებლად ისმენს ღვთის სიტყვას, ის არა ნაკლებ დამნაშავეა მასზე, რომელიც შეურაცყოფს იესო ქრისტეს სხეულს. რისი ლირსი იქნება ის, ვინც ღვთის სიტყვას თელავს ფეხით? იგი ისეთივე დამნაშავეა, როგორც ის, რომელიც იესო ქრისტეს სხეულს გაქელავს ფეხით, იმიტომ რომ სახარების სიტყვა არის ნამდვილი ნაყოფი ქრისტეს ძვირფასი სისხლისა. ვაი იმას, რომელიც ასეთ დამნაშაობას ჩაიდენს“.

## II.

შეიღლო ჩემო საყვარელო, მე შენ გამართლებ: ეს შენ არ შეგეხება; მაგრამ აი რა შეგეხება შენ.

შენ მოისმინე ყურადღებით სიტყვა ლვთისა, სიხარულით მიიღე იგი, დაიმარხე შენს გულში, იმან გამოილო ფესვი. ამის გამო შენში დაიბადა კეთილი აზრი, კეთილი სურვილი, კეთილი განზრახვანი; შენს სიტყვა-პასუხში და ყოფაქცევაში იხედება ლვთის შიში და კეთილ ცხოვრება, რომელიც წინათ არ ჩანდა; შენ ხშირად იწყე ტაძარში სიარული; და ბოლოს, შენ დაუახლოვდი ლვთის წმიდა ტრაპეზს, და მე იმედი მქონდა, რომ შენ ნამდვილი ქრიტიანე შეიქნებოდი. მაგრამ ნამდვილად ასე არ მოხდა: საუბრულოთ შენი გული ემსგავსება მანდორს, რომელიც დაფარულია ზემოდან ცოტა მიწით, მაგრამ ქვემოთ კი კლდეა. და როგორც კი თოხს დაკვრენ, გამოჩდება უბრალო და საკირე ქვა. ასეთ მიწაში თესლი ხარობს, ამოდის, გამოჩნდება სასიამოვნო მწვანე და კარგს იმედს იძლევა: მაგრამ მცენარე მალე ხმება, რადგან სინოტი არა აქვს; როგორც კი სიცხე დადგება, იგი ხმება, რადგან მიწა ლრმა არ იყო და მცენარემ ფესვი ვერ გაიდგა კარგათ. ესევე შეემთხვა შენს გულს; გარეგანი ნიშნები შენი მოქუცისა და კეთილ ცხოვრებისა დროებითი იყვნენ; პირველი განსაცდელის დროს იგინი განქრენ; ჩემი იმედი და სიხარული გაცრუვდა.

შენ გიხუმრეს, რომ მეტის-მეტი ლვთის მორწმუნე შეიქენი! ეს შენ გეწყინა, ვერ მოახერხე, რომ რიგიანად დაგეფარა თავი და უცებ გაგიცივდა გული სარწმუნოებაზე; მოხდა ისე, რომ უბრალოდ შელახეს შენი კეთილი სახელი, და შენ, ნაცლად იმისა, რომ მოთმენით აგეტანა ცილის წამება, მოჰყევი გინებას. უმართლოთ გიჩივლეს, ზარალი მისცეს შენს მამულს და შენ ამან გაგაბრაზა. ამ მანდილოსანმა, რომლის მეგობრობას და მფარველობას შენ დიდი და აფასებ, შენგან მოითხოვა ისეთი რამები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან წმინდა სინდის. შენ გინდა პატივი სცე მას, რომ მის მფარველობას არ მოაკლდე და ამიტომ შენი რწმუნების წინააღმდეგ იქცევი. შენ შემთხვევით შეხვდი ერთ პირს, რომელთან ერთად ხშირად კარდებოდი ცოდვებში; როცა მოშორებული იყვი, იგი დავიწყებული გყავდა; შენ გეგონა, რომ შენი ვნება დაცხრა: მაგრამ არა; როცა კი შეხვდი იმ შენ ნაცნობ პირს, მაშინვე დაგავიწყდა შენი განზრახვა და აღთქმა. ერთი სიტყვით შენ გსურდა დაახლოვებოდი ღმერთს ზა

დადგომოდი ცხოვნების გზას: მაგრამ ეს შენი კეთილი სურვილი იყო მხოლოდ დროებითი; შენ-კოველივე ეს მიატოვე, როგორც კი განსაცდელი შეგეთხვა; შენი სარწმუნოება, რომელიც ერთი შეხედვით იყო ცხოველი და კეთილ იმედებს იძლეოდა, ყოფილა მკვდარი ისე, როგორც წინეთ.

ძმანო ჩემნო, ყოველივე ის, რაც ზემოთ ვთქვით, შეიძლება ითქვას თითოეულ ჩვენგანზე. ზოგიერთებს, თითქო, არა აქვთ მიღრეკილება სიმღიდოისადმი, ვიდრემდის მათ სიმღიდრეს არავინ ეხება: აბა ერთივინმე შეეხოს? აი მაშინ ცხადათ დაინახვთ, თუ როგორ გამოიდებენ თავს; ზოგი წყნარნი ჰეონიათ, ვიდრემდის მათ აქებენ, და პირში აფერებენ, ვიღრემდის მათ პატიოსნებას არავინ ეხება; აბა ერთი შენიშვნა მიეცით მათ რაიმე დამნაშაობისათვის? აბა ერთი შეურაცხება მიაყენეთ? ღმერთო ჩემო! როგორ ბრაზდებიან, რა თავმოყვარება და შურის ძიება იბადება მათში? ზოგნი უმანკონი ჰეონიათ, ვიღრემდის რაიმე განსაცდელი არ შეემთხვევათ. აი შეემთხვა განსაცდელი. რა სისუსტეს და წმინდაზობას ენიშვნავთ იმ პირებში, რომელნიც ჩენ უწინ უმანკონი გვეგონა! ზოგი გვგონია თავ-მდაბალი და მომთმენი, სანამ რაიმე წინააღმდეგი არაფერი შეხვდებათ, ვიღრემდის ყოველივე მათ სურვილზე მიდის: აბა ერთი წინააღმდეგობა გაუწიეთ? აბა მათი სურვილისამებრნუ მოიქცევით? მაშინ ნახავთ, თუ როგორ ბრაზდებიან და რა მოუთმენელობას იჩენენ! როცა იგინი რაიმე გაჭირვებასა ან უბედურებაში ჩავარდებიან, დიდ სულ-მოკლეობას იჩენენ და საჩივრებს მოჰყებიან. ეს იცით თქვენ და ამიტომ საჭირო არაა ამაზე ლაპარაკი. ხშირად ჩენ წინდაწინ მოვისაზრებთ რამეს, გვინდა, რომ ეს ჩვენი განზრახვა აღვასრულოთ, მაგრამ თუ რაიმე განსაცდელი შეგვემთხვა, მაშინვე მივატოვებთ ჩენს განზრახვას.

მიწა, რომელსაც არა აქვს ჯეროვანი სიღრმე, ნიშანებს ჩენს საწყალ გულს. ლვთის სიტყვას არ შეუძლია მასში ფესვი მოიკიდოს, ვინაიდგნ მასში არ არის სიღრმე თავმდაბლობისა. როცა ჩენ არა გვაქვს სიწყნარე, მაშინ დაიმედებული ვართ ჩენს საკუთარს ძალაზე და ჯეროვანად არ უყურებთ ჩენს თავს. სულელურად წინ უხვდებით სხვა-და-სხვა შემთხვევათ, რომელნიც ჩენ ცოდვებში გვაგდებენ. როცა არა გვაქვს სიწყნარე, გულიანად ვერ შევ-

ვედრებით უფალს, რათა მან მოგვივლინოს მადლი, რომელიც ენიჭება მშეიღთთა და რომელიც მზგავსად მისა, როგორც ზეციური წყალი ჩადის მიწაში და რწყავს ქალებსა, ისე ლმრთის მადლი ალმობიერებს ჩვენს გულს. და თუ ეს მადლი არ ეკარება ჩვენს გულს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ არა გვაქვს სიმშვიდე. ამიტომ არის, რომ, თუ ღვთის სიტყვის ძვირფას ნაყოფს ჩვენ ვიღებთ, მაგრამ მას არას დროს არ მოაქვს ჩვენთვის კეშმარიტი ნაყოფი. მაცხოვარო ჩემო მოწყალევ! კეშმარიტნი არიან სიტყვანი შენნი! რამდენ სასწაულებს არ ვხედავთ მასში, როცა მათ ვიზილავთ და უკვირდებით.

### შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ უურნალში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი ეკულესის სასარგებლოდ შეწირულებათა გამოსაცხადებლად:

მათხოვის დედათა სავანის ეკულესის აღსაშენებლად შემოსწირეს მათხოვისავე სოფლის მცხვრებთა.

ბარბალე ფირცხალავას ქალმა 10 მ., ელისაბედ დაჭვირის ქალმა 10 მ., ილარიონ ივანეს ძე კარსანიძემ შემოწირა სახარება, ლირებული 12 მ. ოდიკი, ლირებული 3 მ. 50 კ. ზარის ფასათ 1 მ. სულ ნივთებიანათ ლირებული 16 მ. 50 კ. სპირდონ მელაძემ ლახვარი, ლირებული 1 მ. და ზარის ფასათ 8 მ. მონაზონმა მელიკომ კარსანიძის ქალმა ნივთები, ლირებული 8 მ. 40 კ. ანტონ პეტრეს ძე ფიალიამ კედლის საათი, ლირებული 25 მ., დავით ჩიმაკაძემ 3 მ., მერაბ კარსანიძემ 3 მ.

### თითო მანეთი:

ირინე ფიოლიის ქალმა, ტარასი მელაძემ, როდა კარსანიძის ქალმა, ერისთო ფიოლიამ, დათიკო კარსანიძემ, ვლადიმერ კარსანიძემ, მიხეილ კარსანიძემ, ბესო კარსანიძემ, დავით ლოჭვირმან, ბესო ადამიამ, მელიტონ მელაძემ, ესტატე ჩიხლაძემ, გიორგი რუხაძემ, ნიკო წვერიშვილის ქალმა, ნიკოლოზ ადამიამ, გიგო

ლაძემ, ნესტორ მელაძემ, ილაკრი კიკალიშვილმა, ედუკი მელაძის ქალმა, ნიკო ტეცელაშვილმა, გოლ ბარაბაძემ, ელისაბედ კარანაძის ქალმა, ნინო კიკაბიძის ქალმა, ისააკ მელაძემ, ნიკო მილაძემ, დათა ადამიამ, პეტრე ადამიამ, ელიზბარ ჩიმაკაძემ. ბარნაბა ჩიმაკაძემ, მიხეილ გაბაკიძემ, როდა ყუინჩიას ქალმა, ნიკოლოზ ფიალიამ, ლუკა მელაძემ, ერმანე მელაძემ, ალექსანდრე მელაძემ, პეტრე მელაძემ, ნიკო მელაძემ, ანტონ ხურიძემ, ელენე ლაითაძის ქალმა. პელანგო ჭავჭანიძის ქალმა, მაია კუხალაშვილის ქალმა, ნესტორ ადამიამ და მიხეილ ძიძიგურმა, ბარბალე ქელბაქიანის ქალმა, პეტრე ხუროვებმა, ანდრია ძიძიგურმა, მიხეილ ლოჭვირმა, ტასია ბარაბაძის ქალმა. ბეჯან ბარაბაძემ, ანდრია გალდავამ, სტეფანე ბარაბაძემ, ბესო ბარაბაძემ, იოსებ ბარაბაძემ, ლუკა ბარაბაძემ, ექვსი აბაზი უცნობმა, სტეფანე ფიალიამ, პასიკო ფშველიძის ქალმა, ელისაბედ მოგელიძის ქალმა, იოსე ბარაბაძემ, მაკო გახოვიძის ქალმა, ლევან მელაძემ, ივლიანე კანჯარაძემ, ფირანა მელაძემ, იაკობ მელაძემ, გიორგი მელაძემ, ლევან მელაძემ, მიხეილ მელაძემ, პავლე და იასონ მელაძეებმა, ნიკო ადამიამ, სარდიონ მელაძემ, იაგორ ხნლიამ.

გამრიელ და სარდიონ ბარაბაძეებმა, 120 კ.

### ათ-ათი შაური

კოსტა მელაძემ 60 კ. ანტონ ხურიძემ, სპირიდონ პირცხალავამ, გიორგი ფირცხალავამ, იაკობ ხუროებმ, გაბრიელ ლოჭვირმა, დათა ძიძიგურმა ფოტინა ძიძიგურიამ, როზგან კინწურაშვილის ქალმა, ფილიპე ძიძიგურმა.

### ორ-ორი აბაზი

იონა ბარამაძემ, კოსტა ჩიმაკაძემ.

### თითო აბაზი

ეკა ადამიას ქალმა, ტასია მაჭარაძის ქალმა, ბარბალე დანგაძის ქალმა, ელისაბედ მელაძემ, ალათი ბარაბაძემ, ოქროპირ ადამიამ, კაცია მელაძემ, ბესო ადამიამ, კონსტანტინე ჩიხლაძემ, ნინო ძიძიგურის ქალმა 10 კ.

მათხოვიდან შემოვიდა სულ ასი მანეთი.

## რადაქციის პასუხი.

დ. თ. თქვენი სტატია არ იძექდება.

ზუგ. მკონხველის. იმისთვის წერილების, რომელთა ავტორები თავის ვინაობას არ აცხადებენ, რედაქცია არ ბეჭდავს.

გ. თ. რიგიანი ლექსების წერა ხუმრობა არ არის. არ იძექდაბა.

ბ. 6. თ - ას. ამ დროში მნელი სანდო არიან ნი-

სიათ ეურნალზე ხელის მომწერინი.

ისეთმა პირებმა მოვატყუეს, რომელის თავან არ მოველოდით. რაც იყო,

ისიც კმარა ჭიუის სასწავლებლად...

მ. ჩდ - ელას. თქვენი ქება-დიდება დასაჯერი არ

არის. მოძღვარს რომ თავის სამწყსო

ისე უყავრდეს, როგორც თქვენ იწერებით, ის არასოდეს არ მიატოვებს

მას და სხვა სამწყსოში არ წავა.

გარდა ამისა საჩივრებიც კი ყოფილა თქვენ მიერ ნაქებ მწყემსზე ნამეტანი ფულის გარდახუვინებისა გამო და

თქვენ კი იწერებით, რომ იგი იყო თავის სამწყსოს მრჩენელი და პატრონიო!!..

მდ. გ. აბ - ძე. თქვენი სტატია არ დაიბეჭდება.

## განცხადება.

1881 წელს უმაღლესად დამტკიცებული დამზღვევი საზოგადოება

**როსტოკი**

(რუსეთი)

ს. შეტებული. ბოლშეა მორსკაა. 37:

ძირისა და სათაღარით თანხა 29,000,000 გ.

საზოგადოების მოქმედება:

## დამზღვევა სიცოცხლის

ე. ი. თანხისა და შემოსავლისა მჯახის ანუ საკუთაოს მოხუცებულობის, ქალის მზითვის, ვაჟთა სტიპენდიების და სხ. უზრუნველ-საყოფელათ, განსაკუთრებულ სახეირო პირობებითა და ისე, რომ დამზღვეელნიც მონაწილეობის იღებდნენ საზოგადოების მოგებაში.

რედაქტორ-გამოცემელი დეკ. დ. დაბაშიძე.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 сентября 1897 г. ♦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакції журн. „Пастырь“ (И. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.

1897 წლის 1 იანვრისთვის «როსტოკი» საზოგადოებაში დაზღვეულ იქმნა 41,397 კაცი 102,694,700 გან.

დაზღვევა უსედურ შემთხვევათვან როგორც კერძო კაცის, ისე საერთო ქარხნებაში მოსამსახურეთა და მომუშავეთა იმ პირობით, რომ დასაზღვევი შესატანი შემცირებულ იქნება დივიდენდის ჩარიცხვისა გამო.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

უკველვარ უძრავისა და მოძრავის ქონების (შენობათა, ბანქებისა, საქონლისა, ავეჯისა და სხვ.)

დაზღვევა გასავაჭრის საქონლისა ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით და აგრეთვე გენებისა.

განცხადება დაზღვევის მსურველთაგან მიიღება და უოველგარი ცენობაში ეგზავნება გამეცობას პეტერბურგში (ზოლშაია მოსკვაი, საკუთარი სახლი, № 37): ტცილისში განყოფილებაში (სერგევის ქუჩა № 6); რუთაისში აგნტს თ—დს ილარიონ ა. შიქელაძეს, (ქარვასლის ქუჩა, თავადაზნაურობის ბანკის სადგომი) და საზოგადოების აგენტებისაგან იმპერიის კუველა ქალაქებში.

უგელურ უმატვევისაგან დასაზღვევი ბილეთები გავარებას, როგორც რეინის გზით, ისე გემებით მიმავალთ, მიეცემათ რკინის გზის სადგურსა და ნავთ-სადგურებზედ.

შირი ა. რ ი რ ა ა რ ს ი 0:

სალითერატურო განოცილება: როგორი უნდა იყოს მღვდელის, შინაური ცხოვრება? — სიტყვა, თქმულ უწ. სინოდის ოპერ-პროკურორის ამხანაგის უ. ვ. კ. ცაბლერის მეტე თო-კულასანი სამწყვლო სკოლების მასწავლებელ ქალთა და კაცთა საზაფხულო პედაგოგიური კურსების ფასურების დროს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. — მოწოდება ყოვლად სამღვდელო განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა სამწყსოსახლი მიმართული სამწყსოში შემოსვლამდე. — ქართლ - კახეთ-იმერეთის სინოდალი კანტორის მდივნი ილა მოსეს ქე კიკნაველიძე (ნეკროლოგი). — თ. ალექსანდრე გ. წულუკიძე (ნეკროლოგი). — მწყემსი “— კორექსპოდენცია ს ვერტუალიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.”

და განცხადება რისისიანი სარგებლივასა და კეთილ-ცეობაზე: ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი საუბარი X ლვთის სიტყვაზე.

— რედაქციის პასუხი. — შეწირულებანი. — განცხადება.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.